ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერება

ნიკო კაკაბლიშვილი

რუსული პროპაგანდა და მისი გავლენა საქართველოზე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ირაკლი ჩხაიძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

მოცემული კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს დაადგინოს, თუ რამხელა ძალა აქვს რუსულ პროპაგანდას და რისთვის იყენებს რუსეთის ფედერაცია მას. ამასთანავე, ის, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას ქართული საზოგადოება და პოლიტიკა. კვლევაში განხილულია რუსული პროპაგანდა და მისი გავლენა საქართველოში 2003 წლიდან, კერძოდ „ვარდების რევოლუციიდან", დღევანდელ დღემდე. აღსანიშნავია, რომ დროის სწორედ ეს მონაკვეთი არის ის პერიოდი, რომელიც უკეთ გასცემს დასმულ საკვლევ კითხვებს პასუხს.

კვლევის პროცესი დაფუძნებულია თვისებრივი კვლევის მეთოდებზე, კერძოდ, სიღრმიეულ ინტერვიუზე, რომლებიც ჩატარდა ექსპერტებთან. ამასთანავე, ნაშრომში შინაარსობრივად გაანალიზებულია სხვადასხვა წყარო, მაგალითად, სტატიები, წიგნები, ინტერვიუები, ვიდეო მასალები და სხვა სამეცნიერო ნაშრომები. აქედან გამომდინარე, მოცემული კვლევა გვიჩვენებს, თუ რამდენად მწვავედ დგას რუსული პროპაგანდისა და მისი გავლენის საკითხი საქართველოში. ასევე, აღნიშნული კვლევა ცდილობს შეაფასოს და გაანალიზოს მთავრობისა და სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები, მათი გზავნილები და ზოგადად ნარატივი, კერძოდ, წინააღმდეგობრივია, თუ პრორუსულია ეს ყოველივე.

სარჩევი

შესავალი 1

თავი 1 - პროპაგანდის თეორიული ასპექტები 4

თავი 2 - რუსული პროპაგანდის საწყისი რუსული პოლიტიკური კულტურიდან მომდინარეობს 7

2.1 საბჭოთა პოლიტიკური კულტურის გარდაქმნა რუსულ პოლიტიკურ კულტურად 7

2.2 აბრა შეცვლილი რუსული პოლიტიკური კულტურის გამყარება საქართველოში პროპაგანდის საშუალებით 9

თავი 3 - როგორ მუშაობს რუსული პროპაგანდა საქართველოში 16

3.1 მედიისა და სოციალური ქსელის როლი რუსული პროპაგანდის გავრცელებაში 16

3.2 მედიის გარე მყოფი საზოგადოება და რუსული პროპაგანდის გამავრცელებლები 22

თავი 4 - უკრაინა და საქართველოს რუსული პროპაგანდის ქარცეცხლში 26

დასკვნა 29

ბიბლიოგრაფია 31

დანართი 36

შესავალი

საქართველო წლების განმავლობაში იყო საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ, კერძოდ კი, 1921 წლიდან 1991 წლამდე, შემდგომ კი, საბჭოთ კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი მაქსიმალურად ცდილობდა და დღესაც ცდილობს რომ გავლენა იქონიოს საქართველოზე და ქართველ ხალხზე. რუსეთის მთავარი იარაღი კი დღეს პროპაგანდაა, რომლის საშუალებითაც მან შეაღწია მოსახლეობის დიდი ნაწილის აზროვნებასა და მენტალიტეტში. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ეს არ დაწყებულა 2003 წელს „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ, სწორი იქნება ვთქვათ, რომ რუსული პროპაგანდა აქტიურ ფაზაში შევიდა ამ მომენტიდან, რადგან „ვარდების რევოლუციამდე“ მოქმედი მთავრობა არ უშლიდა ხელს რუსეთს და ის აქტიურად ერეოდა საქართველოს საქმიანობაში, რამაც ასევე ხელი შეუწყო და შედეგად მოგვიტანა „ვარდების რევოლუცია“. ამ პერიოდში რუსეთმა დაინახა, რომ საქართველოში პროდასავლური და ანტირუსული ადამიანები მოდიან ქვეყნის სათავეში, რომელთაც ხალხის მხარდაჭერაც აქვთ, შესაბამისად, ძლიერდება რუსული პროპაგანდა საქართველოში და იგი ცდილობს საქართველოში დაიბრუნოს ის დიდება, რაც ჰქონდა საბჭოთა კავშირის დროს. როდესაც ვსაუბრობთ თემის აქტუალურობაზე, არ უნდა დავივიწყოთ, თუ რაოდენ ძლიერი და საშიში იარაღია. პროპაგანდა არ არის დიდი ჩაქუჩი, ის უფრო პატარა, მაგრამ მახვილი სკალპელია, რომლითაც კეთდება ზუსტი კვეთა, კვეთაში კი იგულისხმება ის, რომ რუსეთმა ზუსტად იცის, თუ რაზე უნდა გაუმახვილოს ყურადღება ქართველ ხალხს იმისათვის, რომ ჩაახშოს ჩვენში პროდასავლური მისწრაფებები. უკვე წლებია რუსეთი და რუსული პროპაგანდა ცდილობს ქართველ ხალხზე იქონიოს, რაც შეიძლება დიდი გავლენა, პროპაგანდის საპირწონე იარაღი კი ყოველთვის იყო, არის და იქნება ინტელექტი და საზოგადოების განათლებული ნაწილი.

კვლევის მიზანია დაგვანახოს, თუ რა სახის პროპაგანდას იყენებს რუსეთი, რამდენად ეფექტურია ეს პროპაგანდა ქართველ ხალხთან მიმართებაში, დაგვანახოს მისი

ძლიერი და სუსტი მხარეები და ასევე წარმოგვიდგინოს, თუ რა განწყობაა ქართულ საზოგადოებაში. **კვლევის ამოცანას** წარმოადგენს რუსი და საქართველოში მოღვაწე პროპაგანდისტებისა და მათი საქმიანობის, პროპაგანდისტული რიტორიკის, რუსეთის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა. **კვლევის ობიექტი,** ამოცანისა და მიზნისაგან გამომდინარეობს, შესაბამისად, საკვლევი ობიექტები არიან რუსეთის მთავრობა, რუსი ჟურნალისტები და ქართველი მოსახლეობა, რომელიც ჩართულია ქართულ პოლიტიკურ დღის წესრიგში.

საკვლევ კითხვას წარმოადგენს:

- როგორია ქართული საზოგადოების ყოფა და ყოველდღიურობა რუსული პროპაგანდის პარალელურად?

ჰიპოთეზა შემდეგნაირია:

- რუსულმა პროპაგანდამ შეაღწია ქართული მოსახლეობის ყოველდღიურობაში, რამაც გამოიწვია ის, რომ მას დიდი გავლენა აქვს საქართველოს მოქალაქეების გადაწყვეტილებებზე.

კვლევის **თეორიულ ჩარჩოდ** გამოყენებულია იმპერიალიზმის თეორია. აღნიშნულ თეორიას განიხილავს ვლადიმირ ლენინი თავის ნაშრომში "imperialism is the highest stage of capitalism", სადაც ვ. ლენინი იმპერიალიზმს კაპიტალიზმის უმაღლეს ფორმას უწოდებს. იმპერიალიზმის თეორია კარგად ერგება დღევანდელი რუსეთის ზრახვებს, რადგან ის ცდილობს დაიბრუნოს ის ძალაუფლება, რაც გააჩნდა საბჭოთა კავშირის დროს, 21-ე საუკუნის დასაწყისში ეს ასეთი აშკარა არ იყო და ერთი შეხედვით ადამიანებს რჩებოდათ შთაბეჭდილება, რომ რუსეთი იყო ახალი ქვეყანა, რომელიც განსხვავდებოდა სსრკ-სგან, რომელიც ცდილობდა განვითარებას. თუმცა დროთა განმავლობაში აშკარა გახდა, რომ რუსეთი ცდილობს დაიბრუნოს კონტროლი იმ ქვეყნებსა და ტერიტორიებზე, რომლებიც შედიოდა საბჭოთა კავშირში. ამან შედეგად მოგვიტანა ომი არამხოლოდ საქართველოსთან, არამედ უკრაინასთან. რუსეთის იმპერიალისტური ზრახვები მას აიძულებს არა განავითაროს ის, რაც აქვს, არამედ დაიპყროს და შთანთქოს დამოუკიდებელი

სახელმწიფოები, რაშიც უდიდეს როლს სწორედ რუსული პროპაგანდა თამაშობს, რომელმაც ჯერ რუსეთის შიგნით მოახდინა ხალხის დემორალიზაცია და დაპროგრამება, ხოლო შემდგომში კი მეზობელ ქვეყნებსაც მიადგა.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი **კვლევის მეთოდოლოგია**, რომელიც შეირჩა იმისათვის, რომ მოცემული კვლევა იყოს ღრმად შესწავლილი, დამუშავდა როგორც სიტყვით გამოსვლები, ასევე ინტერვიუები, სტატიები და წიგნები. ამასთანავე ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები ორ ექსპერტთან.

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულია შერჩევის არაალბათური მიზნობრივი **შერჩევა**, ვინაიდან საჭირო იყო ყველა ისეთი წყარო, რომელიც უფრო გააღრმავებდა ამ კვლევას.

კვლევის ლიმიტი: კვლევა არ მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც ობიექტურად ვერ შეაფასებენ და არ ადევნებდნენ აქტიურად საქართველოში მიმდინარე მოვლენებს თვალყურს.

თავი 1 - პროპაგანდის თეორიული ასპექტები

პროპაგანდა დღეს არის ერთ ერთი ყველაზე ძლიერი იარაღი რაც კი კაცობრიობას გამოუგონია, პროპაგანდა შეიძლება იყოს დაფარული ან ღია, ემოციური ან პირიქით მოგვიწოდებდეს გონებისკენ, ან იყოს გაერთიანება ემოციური და ლოგიკური შეძახილების (Casey, 1944). ბოლო საუკუნეებში სხვადასხვა მთავრობები და საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებმა დაინახეს რომ პროპაგანდას გაცილებით უკეთესი შედეგი მოაქვს ვიდრე პოტენციურ ომს, პროპაგანდის საშუალები შესაძლოა დაიპყრო ან და დაანგრიო ქვეყანა ერთი გასროლის გარეშეც კი. შესაბამისად რუსეთი ამ იარაღს უკვე ბოლო ორი საუკუნეა აქტიურად იყენებს როგორც ბრძოლის იარაღს არა მარტო მის შემოგარენში არამედ მთელს მსოფლიოში ეს ყოველივე გამომდინარეობს მისი იმპერიალისტური ზრახვებიდან რომელსაც კაპიტალიზმის უმღელს ფორმას უწოდებენ (Lenin, 1917). იმპერიალიზმში კი ცუდს ვერ ხედავენ თავად რუსები, ისინი მზად არიან თავლი დახუჭონ მათ ყოველდღიუ პრობლემეზე რათა დაამარცხონ ბოროტი კაპიტალისტები. განსაკუთრებულად მწვავე გახდა ეს საკითხი საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბებასთან ერთად და შემდგომ უკვე მის დაშლის შემდგომ. რეალურად რუსული იგივე საბჭოური პოლიტიკური კულტურა საუკუნეზე მეტია მუშაობს პროპაგანდასი გავრცელებაზე, ესაა ამ ქვეყნის როლი ახალ ისტორიაში. შესაბამისად რუსეთი ვერ გახდება დემოკრატიული ქვეყანა რისთვისაც იბრძვის რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი, მაგრამ ეს არ შველის ამ ყოველივეს რადგან პოლიტიკური ფასეულობები არის აღრეული ქვეყანაში, ასევე დიდ წილად საბჭოურმა გამოცდილებამ მიიყვანა დღეს რუსეთი იმ რეალობამდე სადაც მას უწევს არსებობა (Denton, 2006). პოსტ საბჭოთა სივრცეში განსაკუტრებით გააქტიურებულია რუსეთი რათა დაიბრუნოს ძველი დიდება, ეს ეხება არა მხოლოდ საქართველოს, უკრაინას არამედ ტაჯიკეთს, სირისა და სხვა ქვეყნებს. ამასთანავე ის ცდილობს მოიპოვოს გავლენა სხვა სუსტ ქვეყნებზეც მაგალითად ვენესუელა, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს კოლექტიურ დასავლეთს (Rezvani, 2020). რუსეთი ჭკვიანურად იყენებს პროპაგანდას, ის ნაკლებად ცდილობს რომ თავის თავს პიარი გაუკეთოს, ამის ნაცვლად იგი ცდილობს ანტიპიარი გაუკეთოს, გააშავოს კოლექტიური დასავლეთი და

მთლიანად ცივილიზებული სამყარო. ნომერ პირველ მოწინააღმდეგედ კი როგორ წარსულში საბჭოთა კავშირს ახლაც გამოყავს ამერიკის შეერთებული შტატები. რუსული პროპაგანდა ცდილობს შეაღწიოს ყველა სფეროში რათა იქონიოს მაქსიმალური გავლენა საზოგადოებაზე, ხოლო რამდენად კარგად მუშაობს ეს ჩანს იმაში თუ როგორ ვითარდება მოვლენები რეგიონში და არა მხოლოდ (Gerber & Zavisca, 2016). ამ პროპაგანდისტულ ომში რუსეთის ერთ ერთი მთავარი ღილაკი რაზეც ის აწვება არის ნოსტალგია, ბედნიერი საბჭოური ნოსტალგია, ეს ნარატივი გვხვდება პოსტსაბჭოთა სივრცეში. სხვადასხვა მედია საშუალებებით ხდება საბჭოთა კავჭირის როგორც სახელმწიფოს რომანტიზება და მისი გაიდეალიზება. საინტერესო ის ფაქტიც რომ საბჭოთა კავშირის რომანტიზებას ხელს უწყობს ასევე პოსტსაბჭოთა მოსახლეობის გარკვეული ნაწილიც (Kovtiak, 2018). რუსეთს აქვს დეტალურად შემუშავებული გეგმა თუ რა ნარატივი და გზავნილები უნდა გაავრცელოს საქარტველოში რაც მოდის საბჭოთა კავშირის დაშლიდან კერძოდ 1991 წლიდან დღემდე, (იქვე, გვ. 191-199). ეს გზავნილები არტყავს საზოგადოებას წერტილოვნად მაგრამ საკმაოდ ძლიერად, იმდენად ძლიერად რომ ხშირია შიდა დაპირისპირება საქართველოს მოსახლეობას შორის, პირველი ასეთი მაგალითი არის თბილისის სამოქალაქო ომი, სადაც მეზობელი ესროდა მეზობელს (ჭიაბერაშვილი, 2021). წლების განმავლობაში ერთ ერთ მთავარ გზავნილად რჩებოდა და დღესაც არის ნეიტრალიტეტის საკიტხი საქართველოში, რეალურად ამ გზავნილმა მიზანს ვერ მიაღწია მაგრამ ის მაინც რჩება დღეს განხილვის თემად, არა მხოლოდ პირად საუბრებში არამედ უფრო მაღალ ეშელონებშიც კი, რასაც შესაძლოა მოყვეს უარყოფიტი შედეგი საზოგადოებაში. ხშირია ნეიტრალიტეტის თემაზე დისკუსია საქართევლოში, ამ იდეის მომხრეები საქართველოს შვეიცარიის მსგავს მომავალს უქადიან ხოლო რეალისტები კი ბელგიის მაგალითს იხსენებნ რომლის ნეიტრალიტეტიც არაერთხელ დაარღვია გერმანიამ. (ავალიანი, 2018). ამავდროულად უნდა აღინიშნოს ისიც რომ რამდენად მისაღებია საქართველოსთვის ნეიტრალიტეტი, ქვეყნისთვის რომლის ტერიტორიებიც ოკუპირებულია და მისი ეკონომიკა დამოკიდებულია არა თუ მეზობლებზე არამედ ოკეანის იქეთ მყოფ ქვეყნებზეც კი (მენაღარიშვილი, 2017). ის ფაქტი რომ საქართველოში

მუშაობს ძლიერი პროპაგანდისტული მანქანა რთულია იქნეს უარყოფილი, მაგრამ მთავარია შესწავლილ იქნას ის თუ სად ვლინდება პროპაგანდა, პროპაგანდა არ ვლინდება მხოლოდ მედია საშუალებებში ეს მხოლოდ მყინვარის წვერია, პროპაგანდა თავისის საცეცებით ედება მთლიან სისტემას და საზგადოებას (ჭანტურიძე, 2018). პროპაგანდამ შეაღწია მოქალაქის ყოველდღიურობაში იქნება ეს, სასწავლო დაწესებულება, სამუშაო ადგილი, ეკლესია, ადგლი სადაც ადამიანი ისვენებს თუ სხვა. ყოველდღიურად მოქალაქეებს ხვდებათ უამრავი გზავნილები რუსული პროპაგანდიდან, როგრიცაა მაგალითად ნეიტრალიტეტის საკითხი, ცუდი დასავლეთი, ერთმორწმუნე მეზობელი და სხვა (კინწურაშვილი, 2015). ამის პარალელურად კი საინტერესოა რამდენად აღიქვამს საზოგადოება იმ ფაქტს რომ რუსული პროპაგანდა უკვე მათი ყოველდღიურობის ნაწილია და მათ უწევთ მასთან ერთად თანაცხოვრება. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ვერ აცნობიერებს რომ აზრი რომელსაც ისინი აფიქსირებენ საუბრის დროს რეალურად არის პროპაგანდის ნაწილი, ყველაზე ნათელი მაგალითი არის ნეიტარლიტეტის საკითხი (კინწურაშვილი, 2022).

თავი 2 - რუსული პროპაგანდის საწყისი რუსული პოლიტიკური კულტურიდან მომდინარეობს

2.1 საბჭოთა პოლიტიკური კულტურის გარდაქმნა რუსულ პოლიტიკურ კულტურად

როგორი გავლენა აქვს და რაში ჭირდება რუსეთს პროპაგანდა საქართველოში ამ საკითხის შესწავლისას უნდა გაანალიზებულ უნდა იქნეს თუ საიდან იღებს სათავეს ეს ყოველივე, ჩემი აზრით კი ეს მომდინარეობს რუსული პოლიტიკური კულტურიდან. ხშირია მოსაზრება რომ საბჭოთა პოლიტიკური კულტურა ერთია და რუსული პოლიტიკური კულტურა მეორე, მაგრამ ვფიქრობ რომ ეს ასე არ არის, ჩემთვის შეიცვალა მხოლოდ აბრა შენობაზე, ხოლო ხალხი და მათი აზროვნება იგივე დარჩა. შესაძლოა ვინმეს გაუჩნდეს კითხვა თუ რა აქვთ საერთო საბჭოთა პოლიტიკურ კულტურას და რუსულ პოლიტიკურ კულტურას, მაგრამ დიახაც რომ აქვთ. მტავარი მსგავსება არის იმპერიალიზმი და იმპერიალისტური ზრახვები. 1922 წელს შეიქმნა ეს სისტემა რომელსაც სურდა ჩაეყლაპა ყველა მეზობელი, გავლენები ექონია მთელს მსოფლიოზე იქნებოდა ეს პიდაპირი გავლენა თუ ფარული. ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, საქართველო და კიდევ სხვა ქვეყნები აიძულეს გამხდარიყვნენ საბჭოთა წევრი ქვეყნები და მათზე პირდაპირ გავლენას ფლობდა საბჭოთა ხელისუფლება. მეორე მხარეს კი არის კუბა, მაშინდელი ჯერ კიდევ ერთიანი კორეა, ლაოსი და კიდევ სხვა ქვეყნები სადაც ცდილობდნენ რომ თავიაანთი იდეოლოგია გაევრცელებინათ. საბჭოთა კავშირის ასეთ მოქმედებებს ამ ქვეყნებში მოყვა არეულებები და სამოქალაქო ომი, რასაც მაგალითად მოყვა კორესი გაყოფა ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებათ, ასევე არეულებები იყო საბჭოთა წევრ ქვეყნებშიც, რასაც უამრავი ადამიანი შეეწირა. საბჭოთა ხელისუფლება პროპაგანდას იყენებდა იმისათვის რომ ხალხისათვის დაეჯერებინათ მათთვის, უძლეველი საბჭოთა ხელისუფლებისთვის, ვინც

არ ემორჩილებოდა, მათზე კი ფიზიკური ძალადობას ახორციელებდნენ. მედია არ არსებობდა, მედია საშუალებებიდან მხოლოდ ის ისმოდა რაც სურდა მთავრობას, ცენზურა იყო ის ერთ ერთი უმთავრესი იარაღი რასაც ყოველდღიურად იყენებდა საბჭოთ ხელისუფლება. და რა ხდება ახლა რუსეთში? როგორია მისი პოლიტიკური კულტურა და საერთოდ მისი პოლიტიკა? ცდილობს სხვა ქვეყნებზე გავლენა იქონიოს პიდაპირ ან ირიბათ? დიახ, აქ ვიხსნებეთ აფხაზეთს, სამაჩაბლოს, ყირიმს, ლუგანსკს, დონეცკს და მთლიან უკრაინას, სომხეთისა და აზერბაიჯანის კონფლიქტში სომხეთის წაქეზება რუსეთის მხრიდან რათა რუსეთმა შეასუსტოს კონკურენტი აზერბაიჯანი რეგიონში. მედია რუსეთში თავისუფალია? საზოგადოება თავისუფლად აფიქსირებს თავის აზრს? ამ კითხვებზე სამწუხაროდ პასუხი არის უარყოფითი. ბოლოს განვითარებული მოვლენებიდან გვახსენდება „ეხა მასკვა“ ს და „დოჟძის“ მაუწყებლობის შეწყვეტა, უამრავი პროტესტანტის დაკავება, რომლებიც აპროტესტებდნენ ომს უკრაინაში. თუ კი ოდნავ წარსულში გადავინაცვლებთ გავიხსენებთ პაველ დუროვს რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა რუსეთი რადგან მთავრობა მას აიძულებდა გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მთლიანი სისტემა თუ როგორ მუშაობდა მის მიერ შექმნილი სოციალური ქსელი „ვკონტაქტი“ რათა მთავრობას შესძლებოდა ეკონტროლებინა მოსახლების მიმოწერა. უკრაინაში შეჭრის შემდგომ დაკავებულთა და ქვეყნიდან იძულებით მიგრირებულთა რაოდენობა შესამჩნევად გაიზარდა. როგორც ვხედავთ განსხვავება საბჭოთა კავშირსა და რუსეთს შორის და მათ პოლიტიკურ კულტურებს შორის არის მხოლოდ ის რომ საბჭოთა კავშირმა სახელი შეიცვალა და დაირქვა რუსეთი, შეიცვალა მხოლოდ აბრა ხოლო მეთოდები იგივე დარჩა. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში პროპაგანდა აპელირებდა იმაზე რომ ჩვენ ვართ მოძმე ერები, და უნდავიყოთ ერთად დასავლელი კაპიტალისტების წინააღმდეგ, ეს მესიჯ ბქოსი არც დღევანდელობაში შეცვლილა, არამედ სხვა ქვე მესიჯბოქსებიც კი შეიძინა.

მისი პოლიტიკა არ შეცვლილა ორი საუკუნეა, 1992-1993 წლებში რაც ხდებოდა ძალიან კარგად ვიცით, რა ხდებოდა 1989 წლის 9 აპრილს და რა ხდებაოდა 1921 წელს ყველამ კარგად იცის, ასევე1832 წელს სოლომონ დოდაშვილის აჯანყების დროს, ესეც კარგად

ვიცით, ასე რომ რუსეთის პოლიტიკა არ შეცვლილა და ასე ერთ ხაზს მიყვება უკვე ორი საუკუნეა. (სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტთან, 7 ივნისი 2023 წელი)

ნამდვილად არა თუ ამ საუკუნეში არამედ წინა საუკუნეებშიც იმავეს ცდილობდა რუსეთი, მისი პოლიტიკა უცვლელი რჩება საუკუნიდან საუკუნემდე, რაც უარყოფითად აისახება საქართველოზე, დღემდე საქართველოს იშუშებს იმ ნაიარებს რაც მას დაუტოვა საბჭოთა კავშირმა.

2.2 აბრა შეცვლილი რუსული პოლიტიკური კულტურის გამყარება საქართველოში პროპაგანდის საშუალებით

საქართველოში მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ვერ ხედავს იმ მსაგვსებებს რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალე, მათთვის რუსეთი სრულიად ახალი სახელმწიფოა, რომელიც ცდილობს მეზობელი ქვეყნები დაიცვას დასავლური კაპიტალიზმისგან, გარყვნილობისგან და ურჯულობისგან. ალექსეი ერემენკო თავის სტატიაში გვაჩვენებს მსგავსებებს თანამედროვე რუსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის, რომ შევხედოთ რუსეთს როგორც თანამედროვე სახელმწიფოს დავინახავთ პირველს ჰიმნი რომელიც დღეს აქვთ არის იგივე რაც იყო საბჭოთა კავშირის დროს უბრალოდ შეცლილი რამოდენიმე სიტყვით. შემდეგი არის ჯაშუში დეპუტატები და ჩინოვნიკები, პარლამენტი ძირითადად დაკომპლექტებულია იმ ადამიანებით ვინც საბჭოთა კავშირის დროს მუშაობდა კგბ-ში, თვით რუსეთის პრეზიდენტიც კი. და ბოლოს რაც ალბათ არის მთავარი მსგავსება ტოტალური კონტროლი მედიაზე და ჟურნალისტებზე. იმ ადამიანების მთავარი და ყველაზე ხშირად გამოყენებადი არგუმენტი რომლებიც ვერ ხვდებიან ან არ ხვდებიან თუ რა საშიშროებას წარმოადგენს რუსეთი არის რელიგია, თურმე ჩვენ ერთმორწმუნეები ვართ და ამიტომ ერთად უნდა ვიყოთ, მაგრამ უკრაინაც ხომ იმავე რელიგიისაა რაც ჩვენ, რატომ ბომბავს რუსეთი ტაძრებს უკრაიანში? რატომ ძალადობენ ერთმორწმუნე რუსი

ჯარისკაცები ქართველ ქალებზე და ბავშვებზე? ეს იმ პროპაგანდის ერთ ერთი გზაა რომელსაც იყენებს რუსეთი საქართველოში რათა მოახდინოს თავისი პოლიტიკური კულტურის გავრცელება. სამწუხარო ფაქტი ისაა რომ საზოგადოების ეს ნაწილი იმდენადაა დაბრმავებული ამ ფაქტით რომ ვერ ხედავენ იმ მაგალითებს რომლებიც მე მოვიყვანე, ისინი ვერ ხედავენ თუ როგორ ცდილობს რუსეთი რომ არა ირიბი არამედ პირდაპირი გავლენა იქონიოს ჩვენზე, რასაც ასეთი ადამიანები სამწუხაროდ ხელს უწყობენ. საზოგადეობაში ვრცელდება ისეთი ცრუ ინფორმაციები რომელიბიც ხელს უწყობს დასავლეთის და მთლიანად განვითარებული სმაყაროს დისკრედიტირებას, და რაც შეეხება რუსეთს პირიქით, ხშირია ფრაზები, „რუსეთი დაუმარცხებელი იმპერიაა“, „რუსეთს ნომერ პირველი ჯარი ყავს“, „რუსეთი ყველაფერს აკონტროლებს“ და სხვა აფსურდული ფრაზები. ეს პროპაგანდა კარგად მუშაობს გარკვეული ადამიანების ჯგუფებზე რაც ხელს უწყობს რუსული პროპაგანდის გამყარებას საქართველოში რადგან შემდგომ უკვე თვითონ ეს ადამიანები რომლებიც მოხვდნენ დეზინფორმაციის ქარბუქში უნებლიედ ეხმარებიან რუსეთს პროპაგანდის გავრცელებაში. ზურაბ ჭიაბერაშვილი თავის წიგნში „დამოუკიდებელი საქართველო ვარდების რევოლუციამდე“, რომელიც შედგება მისივე სტატიებისგან და ამონარიდებიდან სხვადასხვა გაზეთებიდან, გამოყოფს რამოდენიმე სტერეოტიპს რომელებიც არა მარტო „ვარდების რევოლუციამდე“ საქართველოს შეეფერება არამედ რევოლუციის შემდგომსაც, მეტიც მე ვფიქრობ რომ ზოგიერთი სტერეოტიპი განსაკუთრებით საყურადღებოა და დღეს ისინი არის ქცეული რუსული პროპაგანდის მთავარ მესიჯბოქსებად, მინდა გამოვყო მათგან რამოდენიმე და შემდეგ ნაწილში განვიხილო იგი.

1. „ერთმორწმუნეობა“
2. „ნეიტრალიტეტი გეოპოლიტიკაში“
3. „ამერიკა ისეთივე იმპერიაა, როგორიც რუსეთი“
4. „თურქეთი ჩაგვყლაპავს“

ერთმორწმუნეობა ერთ ერთი საყვარელი არგუმენტია მათთვის ვინც მხარს უჭერს რუსეთს. ამავდროულად მათ თითქოს ავიწყდებათ ის ფაქტი რომ რუსეთს ოკუპირებული

აქვს საქართველოს ტერიტორიები, თუ კი ასეთ ადამიანს ვკითხავთ თუ რატომ არ გვიბრუნებს ერთმორწმუნე რუსეთი ოკუპირებულ ტერიტორიებს, მათი პასუხი მაქსიმალურად აბსურდული იქნება, ისინი იტყვიან რომ რუსეთს მოუწია, რადგან რუსეთს დაეცვა არა მხოლოდ თავისი თავი არამედ ამერიკის მიერ მართული საქართველოც. ასევე როდესაც ვსაუბრობთ ერთმორწმუნეობაზე გვახსენდება ყველა ის მოი რაც რუსეთმა აწარმოა თავის მეზობელ სახელმწიფოებთან, ვგულისხმობ საქართველოსა და უკრაინას, საიდანაც ერთ-ერთთან ახლაც ომი აქვს და ამ ომს შეეწირა უამრავი ერთმორწმუნე უკრაინელი.

გიორგი გიგაური: *„საქართველოს დღესაც ებრძვიან, რადგან ჩვენს თვალწინ, ათასწლოვანი ქართული სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ მიმდინარეობს ტოტალური, გლობალური მასშტაბის შეტევა, რომლის მიზანია – ქართული სულიერებისა და ფასეულობების ამ უკანასკნელი ციტადელის აღგვა პირისაგან მიწისა!“* (გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 22-28 დეკემბერი 2014 წელი)

ელიზბარ ჯაველიძე: *„ამერიკელმა იდეოლოგებმა გამოაცხადეს, რომ დაამარცხეს საბჭოთა კავშირი. ახლა დარჩათ მართლმადიდებლობა“*(„ალია“, 11-14 ივლისი 2014 წელი)

ბასილი მკალავიშვილი, მღვდელი: *„თქვენ ვერ წარმოიდგენთ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით რა ბრძოლა მიმდინარეობს მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ იეღოველთა სექტა შემოგზავნილი იქნა აგენტურული საქმიანობისთვის, რათა გზა განემზადებინა შემდეგი მტრებისთვის სწორედ სოროსისა და ბჟეზინსკის დაფინანსებით იქნა შემოგზავნილი 50-იანელები, ევანგელისტები, ხსნის არმიისა და სხვა ათასი რჯულის დაჯგუფებები...“* („ალია“ 25 იბვნისი, 2014 წელი)

მეუფე სპირიდონი: *„დღეს მოდაში არის, პრადვინუტობად ითვლება ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გინება. სინამდვილეში, ეს არის ძალიან ცუდი საქციელი, ეს არ არის სწორი. ახლა გაიხსნა ფრენები, უვიზო მიმოსვლა გაიხსნა, მე, მაგალითად, ძალიან მიხარია, იმიტომ, რომ მართლმადიდებელი ქვეყანაა რუსეთი და მინდა, რომ მასთან იყოს ძალიან კარგი ურთიერთობა, ჩვენ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, ძალიან უნდა*

დავეხმაროთ. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ რუსეთის იმედი გვქონდეს... "(„ტაბულა", 31 მაისი 2023)

ეს იმ ციტატების მცირე ჩამონათვალია სადაც აშაკარად ჩანს რუსული პროპაგანდის გავლენა, სადაც სპეკულირებენ ისეთი მნიშვნელოვანი თემით რაც არის რელიგია რათა მოსახლეობაში გამოიწვიონ ზიზღი კოლექტიური დასავლეთისადმი და ერთადერთ გადამრჩენელად და მხსნელად კი რუსეთი წარმოგვიდგინონ. ხშირად ისე გამოყავთ რომ თითქოს მხოლოდ რუსეთა მართლმადიდებლური ქვეყნა და სხვა ქვეყნები არ არსებობს, ან თუ კი ქვეყანა მართლმადიდებლურია აპრიორე ჩვენი კარგი მეგობარი იქნება, რეალისტი ადამიანისთვის კი აშკარაა რომ ეს ასე არ არის.

შემდეგი სტერეოტიპი არის ნეიტრალიტეტი გეოპოლიტიკაში. საინტერესოა ის ფაქტი რომ როდესაც ზურაბ ჭიაბერაშვილი წერდა ამას ამ იდეის გამავრცელებლად გვევლინებოდნენ ჯაბა იოსელიანი და ჯაბა კიტოვანი, ბოლო წლებში კი ამ იდეის გამავრცელებლად „პატრიოტთა ალიანსი", „ქართული მარში", „ალტ-ინფო" და სხვა პრორუსული ჯგუფები მოგვევლინა. ის ადამიანები ვინც ამ იდეას იზიარებენ ამბობენ რომ არც NATO-მ არ უნდა შემოიყვანოს თავისი ჯარები, საქართველო იმდენად ძლიერიე რომ შეუძლია ნეიტრალიტეტის შენარჩუნება, და ყოველთვის მაგალითად შვეიცარი მოყავთ, რეალურად კი ნებისმიერმა საქართველოს მოქალაქემ იცის რომ ძალიან ბევრი შრომაა საჭირო იმისათვის რომ შვეიცარიასავით ძლიერი სახელმწიფო შევქმნათ, და არც ამ შემთხვევაში ვიქნებით დაზღვეულები რომ რუსეთი არ დაარღვევს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ ერთიანობას. ნეიტრალიტეტის გამოცხადება არ ნიშნავს ავტომატურად და გარანტირებულად უსაფრთხოებას და გარანტიას რომ არავინ არ ეცდება ქვეყნის ერთიანობის დარღვევას. ირაკლი მენაღარიშვილს თავის სტატიაში მაგალითად მოყავს ბელგია რომელსაც საყოველთაოდ ქონდა აღიარებული ნეიტრალიტეტი მეცხრამეტე საუკუნიდან მაგრამ როგორც ვიცით ისტორიიდან გერმანიამ ორივე მსოფლიო ომში დაარღვია ამ ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობა და რის შემდეგაც ის გახდა NATO-ს ერთ-ერთი თანადამფუძნებელი. ნეიტრალიტეტი გამოსავალი ეგონათ ასევე უნგრეთსა და მოლდოვაში მაგრამ როგორც დღეს ჩვენთვის არის ცნობილი ორივე დაზარალდა

საბჭოთაკავშირისგან და რუსეთისგან. როდესაც 2007 წელს საქართველოში დაბრუნდა რუსეთის მაშინდელი ელჩი ვიაჩესლავ კოვალენკო, მან გამართა პრესკონფერენცია სადაც მკაფიოდ გამოხატა თუ რა სურს რუსეთს, „რუსეთს სურს საქართველო იხილოს დამოუკიდებელ, სუვერენულ, ნეიტრალურ სახელმწიფოდ, რომელსაც კარგი ურთიერთობა ექნება ყველა ქვეყანასთან, მათ შორის რუსეთთან“, სადაც მან სიტყვა ნეიტრალიტეტი განსაკუთრებული ინტონაციით გამოყო რათა ზუსტად მიმხვადრიყო საზოგადოება თუ რა სურს რუსეთს. წერს თავის სტატიაში დიმიტრი ავალიანი („ტაბულა“, 10 ივლისი 2018). ასევე ავტორი ამ სტატიაში იხსენებს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებს სადაც ნინო ბურჯანაძის პარტიის მთავარ ლოზუნგად იქცა „ბლოკგარეშე ქვეყანა“, რაც პირდაპირ ეწინააღმდგება საქართველოს კონსტიტუციას სადაც წერია, „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“ (ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურაში ინტეგრაცია, 02.04.2018). დღეს კი „ალტ-ინფოს“ წარმომადგენლები ცდილობენ საზოგადოებას მოახვიონ თავს აზრი რომ არაა საჭირო დასავლეთთან რაიმე სახით გაერთიანება და დამოუკიდებლადაც შევძლებთ განვითარებას, რასაც შემდგომ მოყვება ყოველთვის ის რომ იევ რუსეთთან ჯობია ურთიერთობის დაჭერა ვიდრე ურჯულო კოლექტიურ დასავლეთთან.

თუ დავაკვირდებით როგორ ვითარდება დისკუსია პრორუსულად და ანტიდასავლურად განწყობილ ადამიანებთან, დასაწყისში ისინი არგუმენტებად გამოიყენებენ იმ სტერეოტიპებს რომლებიც მე ზემოთ უკვე ვახსენე, თუ კი ისინი ხვდებიან რომ აგებენ დისკუსიაში და არგუმენტები და მაგალითები აღარ აქვთ მაშინ ხდება რუსეთის და დასავლეთის კერძოდ ამერკის შეერთებული შტატების გათანაბრება, „ამერიკაც ისეთივე იმპერიაა, როგორიც რუსეთი“, ასეთ შემთხვევაში თითქოს ისინი თმობენ პოზიციას და ცოტა ცუდს კადრებენ თვიაანთ საყვარელ რუსეთს, და ამატებენ არც ამერიკელები არიან ანგელოზები. მათთვის ერთი და იგივე ამერიკის მხრიდან მოთხოვნა განვითარებად ქვეყნებში როგორიცაა ადამიანთა უფლებების დაცვა, პოლიცია, რომლისაც

ხალხს არათუ ეშინია არამედ ეიმედებათ რომ ნებისმიერ წუთას მიიღებენ დახმარებას. ამერიკის მთლიანი სახელმწიფროებიობა არის აშენებული ადამიანთა უფლებების დაცვაზე, რუსეთს კი მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტები აიძულოს დაიცვას ადამიანები თავისი ქვეყნის შიგნით, რასაც ის მაქსიმალურად გულგრილად ეპყრობა. როდესაც ამერიკის ჩვენება უნდა ბნელი მხრიდან უხსენებნ სხვადასხვა „ცოდვებს“ და ამბობენ აი ამერიკამაც დააშავაო და მარტო რუსეთის წინააღმდეგ რატომ არის ამხედრებული მთელი მსოფლიო, განსხვავება კი ისაა, რომ პირველი ამერიკაში მუდმივად იცვლება პრეზიდენტი, მთავრობა, რასაც დანამდვილებით ვერ ვიტყვით რუსეთზე სადაც უკვე 23 წელია ერთპიროვნულად მართავს ქვეყანას ვლადიმერ პუტინი. თუ კი გავიხსენებთ ერთ-ერთ უსიამოვნო მოვლენას ამერიკის ისტორიაში რომელიც მოხდა ჯორჯ ბუშ უმცროსის დროს, არის შეჭრა ერაყში, მაშინ მას უწოდეს განიარაღება და მშვიდობიანი ხალხის განთავისუფლება, უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც რომ ამ დროს ამერიკის მთავრობაში უდიდეს გავლენას ფლობდა ამერიკის 46-ე ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი, შეიძლება ითქვას რომ ის უფრო გავლენიანი იყო ვიდრე ჯორჯ ბუშ უმცროსი, და ზუსტად ჩეინის მიაწერენ თითქმის ყველა იმ შეცდომას რაც დაუშვა ამერიკამ იმ წლებში, და ზუსტად ამიტომ ამერიკელმა ამომრჩეველმა გამოიტანა დასკვნები და აღარ მისცა უფლება რომ დიკ ჩეინის ეყარა კენჭი შემდეგ საპრეზიდენტო არჩევნებზე, რადგან მისი რეიტინგი დაბალი იყო, და კანონზომიერია რომ რესპუბლიკური პარტიის კანდიდატს საზოგადოებამ მხარი აღარ დაუჭირა და ქვეყნის სათავეში დემოკრატიული პარტია და ბარაკ ობამა მოვიდა. აი ეს განსხვავებაა რუსეთსა და ამერიკას შორის, იქ ხდება ცვლილებები, მთავრობა და საზოგადოება არიარებს შეცდომებს და ვითარდებიან, რუსეთი და კერძოდ ვლადიმერ პუტინი ცდილობენ დააბრუნონ საბჭოთა კავშირი, რაც უკრაინის მაგალითზე დავინახეთ რომ არ გამოსდით. შესაბამისად ამერიკის დადანაშაულება რომ მასაც რუსეთის ნაირად აქვს იმპერიალისტური ზრახვები მცადრია, და ისევ რუსული პროპაგანდის ნაწილი.

„თურქეთი ჩაგვყლაპავს“ 90-იანებშიც და დღესაც აქტუალური საკითხია სპეკულაციებისთვის, თურქეთიყოველთვის გამოყავთ პრორუს ადამიანებს სახელმწიფოდ რომელსაც ერთი სული აქვს როდის დაგვიპყრობს და გაგვამუსულმანებს. თურქეთის

მტრად წარმოჩენა მარტივია ამ ადამიანებისთვის იმ არგუმენტებითაც რომლითაც კოლექტიურ დასავლეთს აშავებენ, და ამას ასევე ემატება ის ისტორიული წინა პირობები რაც ჩვენ და თურქეთს გაგვაჩნია. ხშირია საზოგადოებაში საუბრები იმის შესახებ რომ აჭარა უკვე გათურქებულია, ნახევარი აჭარა უკვე მუსლიმები არიან, ცოტახანში მიიერტებს აჭარას თუქრქეთი და მერე ჩვენც ჩაგვყლაპავს, რეალურად კი მათი სიტყვები არანაირ რეალურ ინფორმაციას არ ეყრდნობა, მეტიც თურქეთი საქართველოს მხარში უდგას დაწყებული დამოუკიდებლობის დღის მოლოცვით დასრულებული ფინანსური თუ სხვა დახმარებით. და თუნდაც ის ფაქტი რომ აჭარაში მოსახლეობის გარკველი ნაწილი მუსლიმები არიან აპრიორე არ ნიშნავს იმას რომ თურქეთი მას მიიერთებს, საქართველოში კათოლიკეებიც ცხოვრობენ და არ მგონია რომ რომელიმე კათოლიკური სახელმწიფო ჩვენს ჩაყლაპვას აპირებდეს.

თავი 3. როგორ მუშაობს რუსული პროპაგანდა საქართველოში

პროპაგანდა ერთ-ერთი უძლიერესი იარაღია რაც კი ადამიანს შეუქმნია, პროპაგანდით ანუ სიტყვით შესაძლოა არა მხოლოდ ვინმეს მოკვლა არამედ მთელ რიგ სახელმწიფოებში გადატრიალების მოწყობა ან სულაც მათი გაქრობა რუკიდან. პროპაგანდა იყენებს სხვადასხვა სიმბოლოებს, ლოზუნგებს რათა ეფექტურად მიაყენოს ზიანი სამიზნეს იქნება ეს კონკრეტული პიროვნება, პარტია თუ სახელმწიფო. პროპაგანდას შეუძლია წერტილოვანი შეტევებით მიაღწიოს იმაზე მეტ შედეგს ვიდრე რომელიმე სამხედრო ოპერაციას. რომ გავიხსენოთ პროპაგანდის მაგალითები მსოფლიოში სადაც მკაფიოდ იყო გამოკვეთილი სიმბოლიკებიც და ლოზუნგებიც არის ფაშისტური გერმანია, საბჭოთა კავშირი და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს დღევანდელი რუსეთიც. შემდგომ ქვეთავებში ვეცდები კარგად წარმოვაჩინო თუ რა ვითარებაა საქართველოში და რისი ან ვისი საშუალებტ ცდილობს რუსეთი გაავრცელოს თავისი პროპაგანდა და იდეები საქართველოში და მოახდინოს ქართული საზოგადოების პოლარიზება. „სამწუხაროდ ხშირ შემთვევაში ამ პროპაგანდის გამხმოვანებლები არიან არა მხოლოდ, ვთქვათ მასობრივი საშუალებები, რომლებიც უშუალოდ რუსეთშ უკავშირდება, არამედ მაღალი რანგის პოლიტიკოსები რომლებიც ხელისუფლებაში სხედან“ (სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტთან, 7 ივნისი 2023)

3.1 მედიისა და სოციალური ქსელის როლი რუსული პროპაგანდის გავრცელებაში

დღეს საქართველოში მედია საშუალებებს რომ გადავხედოთ, მკაფიოდ ჩანს თუ რომელი ტელე არხი ქინება ეს, გაზეთი, ინტერნეტ გამომცემლობა, თუ რაიმე გვერდი სოციალურ ქსელში, რა იდეის გავრცელებას ცდილობს თავის ერთგულ მაყურებელში,

მსმენელში და მკითხველში, რომელ პარტიას უჭერს მხარს ან თუნდაც რომელ ქვეყანას. ასეთი მედია საშუელებებიდან მინდა გამოვარჩიო სამაუწყებლო მედიიდან „ობიქტივი“, „პოსტ-ტვ“, „იმედი“ და „ალტ-ინფო“, გაზეთები „ალია“ და “ასავალ-დასვალი“, ონლაინ მედიები „საქინფორმი“ და „საქართველო და მსოფლიო“ („geworld.ge“). ჩემს მიერ მოყვანილი ყველა მედია საშუალებას აქვს გარკვეული როლი იმაში თუ რა უნდა გააკეთოს იმისათვის რომ მაქსიმალურად დაავწიყოს და შეაზიზღოს ქართველ ხალხს ამერიკა და ევროპა, NATO და ევროკავშირი. ამ მედია საშუალებების მოსმენისას ან წაკიტხვისას შევამჩნევთ სააერთო რიტორიკას, საერთო იდეას, რომ კოლექტიური დასავლეთი არის ცუდი და ისევ რუსეთი ჯობს, ზოგს საერთოდაც რუსეთი იდეალურ მოკავშირედ გამოყავს რაც რეალურად ასე არ არის. ჩემს მიერ ზემოთ ხსენებულ ე.წ „სტერეორიპებს“ წლების განმავლობაში დაემატა და გამყარდა ისეთი გზავნილები როგორებიცაა, დასავლეთს სურს თავს მოგვახვიოს ჰომოსექსუალობა, ამერიკა არის ძალადობის ინსპირატორი რომლებიც შესაძლოა რევოლუციებშიც კი გადაიზარდოს, არასამთავრობოები არიან უცხოეთიდან დაფინანსებული აგენტები, საქართველოს მართავს კოლექტიური დასავლეთი, ნატოში გაწევრიანება საქართველოსთვის ნიშნავს ტერიტორიების დაკარგვას, რაც უკრაინაში მოხდა 2014 წელს და რაც ხდება დღეს დასავლეთის მოწყობილია, ამ და კიდევ სხვა უამრავი გზავნილების საშუალებით რუსეთი ცდილობს ჩამოგვაშოროს დასავლეთს. წლების განმავლობაში ის მედია საშუალებები რომლებიც მე ჩამოვტავლე ცდილობენ რომ ეს გზავნილები მაქსიმალურად შეფუთონ ისე რომ საზოგადოება დაიჯეროს. ტელეკომპანია „ობიექტივი“ გამოირჩევა თავისი ანტიდასავლურობიტ და არამარტო, ასევე ანტითურქობითაც. ეს არხი მჭიდროდაა დაკავშირებული პარტია „პატრიოტთა ალიანსთნ“ და მის ლიდერთან ირმა ინაშვილთან რომელიც პირწმინდად პრორუსული იდეების მატარებელია ეს მტკიცდებაოდა მაშინაც როდესაც მათ არხზე არანაირი განსხვავებული აზრი არ დაიშვებოდა, აი მაგალითად გადაცემა“ღამის სტუდია“ სადაც მაყურებელს შეეძლო დაერეკა და კითხვა დაესვა, მაგრამ რატომღაც ადამიანი რომელიც რეკავდა მხოლოდ ისეთ კითხვას სვავდა რაც წამყვანებისთვის და პროდიუსერებისთვის მომგებიანი იყო. ვინც ამ არხთან რაიმე სახის კავშირს ფლობს არც მალავს იმას რომ პრორუსული

განწყობებით არის განწყობილი, ამას ადასტურებს ის ფაქტიც რომელიც დაფიქსირდა 2022 წლის თებერვალს. „პატრიოტთა ალიანსმა“, ‘ქართულმა მარშმა“ და კიდევ სხვა პრორუსულმა ჯგუფებმა გაუგზავნეს ერთობლივი წერილი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს, არ დავიწყებ მთლიანი წერილის განხილვას ვისაუბრებ მხოლოდ იმ მთავარ გზავნილებზე რომლებიც იკვეთება ამ წერილში. საქართველოს და უკრაინას უნდა ქონდეთ ნეიტრალიტეტი, ამერიკა მართვას საქართველოს და ერევა მის საშინაო საქმეებში, და რომ რუსეთის გარეშე საქართველო ვერ გადალახავს ვერანაირ სირთულეებს და ვერ გაუმკლავდება გამოწვევებს. ეს გზავნილები კი ზუსტად ემთხვევა იმ გზავნილებს და „სტერეოტიპებს“ რომლებზე მე ზევიტ ვისაუბრე. ამ ყოველივედან გამომდინარეობს რომ რუსეთს სურს რომ საქართველოს თქვას ევროკავშირზე და NATO-ზე და გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი რათა შემდგომ უპრობლემოდ შეძლოს ჩვენი ქვეყნის დამორჩილება. ამისათვის კი ის ცდილობს რომ კოლექტიური დასავლეთი აქციოს მტრის ხატად. ყოველი მათი ნაბიჯი არის კარგად გათვლილი, ჯერ მეგობარს და მოკავშირე ამერიკას აქცევს მტრად, უარს ათქმევინებს მასზე საზოგადოებას და შემდგე როდესაც სხვა გზა აღარ დარჩება იძულებულები ვიქნებიტ მივემხროთ რუსეთს, ასეთი მათი გეგმა რაზეც უკვე წლებია მუშაობენ და უამრავ რესურსს ხარჯავს რუსეთი.

რაც შეეხება ტელეარხ „იმედს“ აქ მაყურებელი შეხვდება დაახლოებით იგივე რიტორიკას და გზავნილებს მაგრამ სხვა სახით. თუ კი „ობიექტივი“ არ მალავს თავის სურვილებს და მისწრაფებებს, „იმედი“ ორიენტირებულია იმაზე თუ როგორ გააშავოს დასავლეთი და ყველა ვინც მასთანაა დაკავშირებული. 2022 თებერვალში „იმედმა“ გამოაქვეყნა სტატია სადაც საუბრობს იმაზე თუ როგორ გართულდა ცხოვრება ევროპაში და მოსახლეობას უკვე არჩევანის გაკეთება უწევს, საკვები თუ გათბობა. სტატია არის იმგვარად რომ დაარწმუნოს მკითხველი თუ როგორი რთული პირობებია ევროპაში, მაგრამ თუ კი ასეთი ცუდი პირობებია ევროპაში სადაც ხალხმა აღარ იცის რა აირჩიოს მაშინ რატომ იზრდება ყოველწლიურად იმ ქართველების რაოდენობა ვინც სამუშაოდ მიგრირებს ევროპაში? ამ კითხვაზე პასუხი „იმედს“ არ აქვს. ასევე “ტელეგრაფის“ მიერ 2023 წლის 29 მაისს გამოქვეყნებულ სტატიას „იმედი“ ქართველ მაყურებელს და მკითხველს

აცნობს, სტატია სადაც საუბარია იმაზე რომ ევროკავშირმა უნდა შეცვალოს პოლიტიკა თურქეთისადმი, რომლის ლიდერიც ერდოღანი მედიასთან საუბრისას ამტკიცებს რომ მას სურს ევროკავშირში შესვლა მაგრამ მისი მრავალწლიანი მმართველობა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ყოველივე ამას, „იმედმა“ კი ამ ყველაფრის ინტეპრირება მოახდინა ისე თითქოს ევროკავშირი დასუსტდა და ახლო მომავალში დაიშლება. ეს ნაბიჯებიც ცხადყოფს იმას რომ „იმედი“ ცდილობს დისკრედიტირება მოახდინოს დასავლეთის და მცდარი წარმოდგენები შეუქმნას მოსახლეობას.

„იმედი“ და „პოსტ-ტვ“ დაახლოებით ერთი ტიპის პროპაგანას აწარმოებენ, ორივე ცდილობს გააშავოს ოპოზიცია და დასავლეთი, და ასევე ოპოზიციური მედიაც. ყველაზე გამოკვეთილი კი ამ არხზე არის გადაცემა „სამნი & Co”, რომლის მთავარი წამყვანიც არის შალვა რამიშვილი. ამ ერთი გადაცემით უკვე კარგად ჩანს თუ რაიდეის მატარებელი და გამავრცელებელია ეს არხი. შალვა რამიშვილი ამ გადაცემაში მაქსიმალური აგრესიით ოპოზიციისადმი და რაც შეეხება რუსეთს მათდამი მისი დამოკიდებულება უფრო თბილია ვიდრე დასავლეთისადმი ეს მის გამოხმაურებებშიც აღინიშნება, მაგალითად 2021 წელს რუსი პროპაგანდისტი ვლადიმერ პოზნერი ჩამოვიდა საქართველოში რასაც ხმაური და არეულობა მოყვა, ეს მოსალოდნელიც იყო, მას დახვდნენ აქტივისტები და მალევე გააძევეს ქვეყნიდან, რასაც გამოეხმაურა შალვა რამიშვილი პოსტი სოციალურ ქსელში, სადაც ჩამოსული რუსი „სტუმრები“ არიან დაზარალებულები, და საათის ისრები ისევ ოპოზიციაზე გადაიტანა, და მათ დააბრალა ისიმ დახვედრის მოწყობა რაც ქართველმა ახალგაზრდა აქტივისტებმა მოუწყეს პოზნერს და მის მეგობრებს. რაც შეეხება თუ რა აუდიტორიას ფლობს „პოსტ-ტვ“ ამ და სხვა საკითხებზე, დაკავშირებული ამ არხთან ნაყოფიერი სტატია გამოქვეყნდა „მედია ჩეკერის“ ვებ-გვერდზე, სადაც 63 წელს ზევით მყოფი მამაკაცების მაჩვენებელი არის ყველაზე მაღალი, ხოლო მეორე მთავარი კატეგორია არის 45 დან 62 წლამდე ქალბატონები რაც შეადგენს 1%-ს, აქვე უნდა აღინიშნოს რომ რეგიონში უფრო მეტი მაყურებელი ყავს ვიდრე თბილისში.

რაც შეეხება შედარებით ახლად წარმოქმნილ „ალტ-ინფოს“, აქ პირდაპირ ილანძღება კოლექტიური დასავლეთი და აქებენ და ადიდებენ რუსეთს. „ალტ-ინფოს“ ლიდერები

მუდმივად მოგზაურობენ და აქვთ ასევე მუდმივი კავშირი რუსეთთან, რასაც თავადაც არ მალავენ, მაგალითისათის „კონსერვატიული მოძრაობის“ („ალტ-ინფო“ს დამფუძნებლებმა ასევე დაარსეს პარტია სახელად „კონსერვატიული მოძრაობა“) ლიდერები 2022 წელს გაემგზავრნენ რუსეთში სადაც მონაწილეობა მიიღეს „ევრაზიული კავშირის“ ფორუმზე რასაც ადასტურებს ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ მახარაძე. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა 2022 წელს გამოაქვეყნა ანგარიში „ალტ-ინფოსა“ და „კონსერვატიული მოძრაობის შესახებ სადაც საუბარია იმაზე რომ მას შემდეგ რაც რუსეთმა დაიწყო ომი უკრაიანში „ალტ-ინფოს“ და „ქართული ოცნების“ რიტორიკა და გზავნილები ემთხვევა ერთმანეთს და რაც მთავარია ემთხვევა რუსეთის გზავნილებს. სტატიაში გამოყოფილია ხუთი გზავნილი, მაგრამ მთავარი გზავნილები არის ის რომ დასავლეთს სურს მეორე ფრონტის გახსნა საქართველოში, რუსეთის სამხედრო არის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო და მალე დამარცხდება უკრაიანა, დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები არ მუშაობს და არაფრის მომცემია, ეს ის ძირითადი გზავნილებია რასაც გვაწვდიდნენ მთელი ამ დროის განმავლობაში, რეალურად კი მივიღეთ ის რომ უკვე წელიწადზე მეტია მიმდინარეობს ომი და რუსეთი განიცდის რეგრესს საბრძოლო ველზე, ჯერ კიდევ სერგეი პუგაჩოვი ინტერვიუში უკრაინელ ჟურნალისტთან დიმიტრი გორდონთან ამბობს რომ 2008 წელს საქართველოსთან ომის დროს რუსული ტექნიკის და აღჭურვილობის დაახლოებით 35% არ იყო იმ მდგომარეობაში რომ საბრძოლველად გამოეყენებინათ რუსებს. ასევე სერგეი პუგაჩოვი ამბობს რომ მთლიან ქვეყანაში არის უმაღლესი დონის პროპაგანდა რაც გვერდს ვერც სამხედროს აუვლიდა და შესაბამისად იმის მაგივრად რომ თანხები მიზანმიმართულად განაწილდეს, მაღალი რანგის მქონე ადამიანები უბრალოდ იპარავენ ამ თანხებს, რაც კიდევ ერთხელ ვიტყვი და დადასტურდა უკრაინასთან ომის დროსაც სადაც ტექნიკის და აღჭურვილობის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ საბჭოთა დროინდელია. ასევე ის გზავნილი რომ სანქციები არ მუშაობს აღმოჩნდა მცდარი რადგან, რუსეთიდან დაიწყო მასიურად ადამიანების გადინება, ქვეყანაში შეიქმნა რთული ეკონომიკური მდგომარეობა ამას ხელი შეუწყო არა მხოლოდ სანქციების დაწესებამ არამედ იმ ფატმაც რომ სხვადასხვ მსხვილმა კომპანიებმა გადაწყვიტეს დაეტოვებინათ რუსული

ბაზარი, ეს კომპანიებია „ადიდასი“, „ბოში“, „ეფლი“, „ტოიოტა“, „ვიზა“, „ამაზონი“, „მასტერქარდი“, და სხვა. რაც შეეხება ჩემი აზრით ყველაზე აფსურდულ გზავნილის იმის შესახებ რომ დასავლეთს სურს მეორე ფრონტის გახსნა ვფიქრობ რომ ეს ყოველივე იყო იმისათვის რომ მოსახლეობა დაეშინებინათ, რადგან არ მიეღოთ ამავე მოსახლეობისგან მოთხოვნა რომ საქართველო შეერთებულიყო სანქციებს, რეალურად კი მივიღეთ ის რომ საქართველოს მოსახლეობამ თავად დაიწყო ჩამოსული რუსების „დასანქცირება“, მაგალითისათვის ზოგიერთი ბინის მეპატრონე არ აქირავებს საკუთარ ბინას რუსებზე, ასევე „საქართველოს ბანკმა“ შემოიღო ბლანკი რასაც რუსეთის მოქალაქემ ხელი უნდა მოაწეროს და სადაც წერია რომ რუსეთი არის ოკუპანტი და კიდევ სხვა დამატებითი ინფორმაცია ამის შესახებ, კიდევ უამრავი კომპანია თუ დაწესებულება ცდილობს დისკომფორტი შეუქმნას ომს გამოქცეულ რუსებს. „ალტ-ინფო“ კი აგრძელებს განაგრძობს ამა და სხვა გზავნილების გავრცელებას. მაგალითად მინდა მოვიყვანო თათია გაბრიჭიძის გადაცემა სადაც მას ყავდა სტუმრად პაატა ზაქარეიშვილი, მათ საუბრის დროს მოხდა კამათი სადაც ბატონი პაატა ამბობს რომ რუსეთი მარცხდება უკრაინა ძლიერად დგას მაგრამ როდესაც კი ამაზე საუბარს იწყებს მოწვეული სტუმარი იმწამსვე ხელს უშლის და წყვეტინებს გადაცემის წამყვანი შემდეგი რეპლიკებით, „[პუტინი] რომელიც მსოფლიოს აშინებს და თავის ჭკუაზე ატრიალებს“, არა მხოლოდ ამ გადაცემაში არამედ მთლიან არხზე აქტიურად ცდილობენ პროდიუსერები და ჟურნალისტები რომ მოახდინონ საქართველოს ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო მეგობრის, უკრაინის დისკრედიტირება. „ალტ-ინფო“ მაუწყებლობის დაწყების დღიდან ებრძვის და დისკრედიტირებს ყველა იმ იდეას რომლისთვისაც იბრძვის ქართული საზოგადოება უკვე 30 წელზე მეტია, ისინი ატარებენ აქტიურ კამპანიებს ამერიკისა და ევროპის, NATO-სა და ევროკავშირს, თავისუფლების და განვითარების წინააღმდეგ. ამ არხით და ასევე პარტიით კარგად ჩანს რუსეთის სურვილი დაგვაშოროს დასავლეთშ, განვითარების გზას, და ისევ გვაქციოს საკუთარ უკანა ეზოდ.

გაზეთები „ალია“ და “ასავალ-დასვალი“, ონლაინ გამომცემლობა „საქინფორმი“ და „საქართველო და მსოფლიო“ („geworld.ge“) მოიცავს უფრო მცირე ოდენობის აუდიტორიას მაგრამ ისინი არანაკლებ საქმეს აკეთებენ, მაგრამ უფრო ის არის საინტერესო თუ რითი

გამოირჩევიან ეს მედიები, მათ სტატიებში წყაროებად ხშირად არის გამოყენებული რუსული გამომცემლობები, ასე მაგალითად 2014 წელს „საქინფორმმა“ გამოაქვეყნა სტატია რომელიც სრულიად ეყრდნობადა რუსულ წყაროს “politikus.ru”, ეს სტატია ეხებოდა უკრაინას თითქოს იქ თურქული კომპანიის დახმარებით ევროკავშირს სურდა პოლიტიკური პატიმრებისთვის საკონცენტრაციო ბანაკების აშენება რაც რეალობას არ შეესაბამება. არამარტო რაიმე გამომცემლობებს იყენებენ დეზინფორმაციისათვის არამედ ასევე ისეთ სახელოვან რუსულ ტელე არხებასც როგორებიცაა „РЕН-ТВ“, „Россия 1“, „Россия 24“, „РИА Новости“ და სხვა.

როგორც ხედავთ საქართველოში ნამდვილად არსებობს მედია საშუალებები რომლითაც რუსეთი თავს პროპაგანდას ავრცელებს ქართულ საზოგადოებში, ჩემს მიერ ჩამოთვლილ ყველა ტელე არხსა და გამომცემლობაში ყოველდღიურად მუშაობს უამრავი ადამიანი იმისათვის რომ მოახდინონ კოლექტიური დასავლეთის და ოპოზიციის დისკრედიტირება. საინტერესოა ის ფაქტიც რომ როდესაც რაიმე პრობლემა წარმოექმნება რომელიმე ზემოთ ხსენებულ მედიას ან გამომცემლობას, მალევე მათ დასაცავად მმართველი პარტიის რომელიმე წევრი აკეთებს ისეთ განცხადებას რომ დაიცვას იგი. ასეთი შემთხვევებიდან მახსენდება სკანდალი შალვა რამიშვილის გარშემო სადაც მას ადანაშაულებენ სექსუალურ შევიწროებაში, რაზეც გამოეხმაურა ირაკლი კობახიძე და თქვა რომ ეს ყოველივე არი მოწყობილი შეტევა ოპოზიციის მიერ რათა ოპოზიციუ მედიას რეიტინგი აუმაღლდეს.

3.2 მედიის გარე მყოფი საზოგადოება და რუსული პროპაგანდის გამავრცელებლები

გარდა მედიისა და ჟურანლისტების პროპაგანდაში ასევე ჩართულები არიან სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები იქნებიან ეს პოლიტიკოსები, სპორტსმენები, საზოგადო მოღვაწეები, სასულიერო პირი თუ სხვა. ამ წლების განმავლობაში კი ბევრმა

ცნობილმა ადამიანმა გააკეთა ისეთი განცხადება ანდა შეფასება რომლებმაც საზოგადოების გარკვეული ნაწილი დააფიქრა იმაზე არის თუ არა ეს ადამიანი პრორუსი.

ვალერი კვარაცხელია, პოლიტიკოსი: *„ის, რაც უკრაინაში ხდება, ეს არის დასავლეთის შეთქმულება რუსეთის წინააღმდეგ მეთქი“*(23 თებერვალი 2014 წელი)

მეუფე სპირიდონი, სასულიერო პირი: *„NATO და ევროკავშირი, ეს არის ქვეყნები რომლებიც ამ გათახსირებას აკანონებენ“*(„ტაბულა“ 14 ივლისი 2019 წელი)

მიშა გომიაშვილი, მსახიობი: *„მირჩევნია პრორუსული ვიყო, ვიდრე პროპიდარასტული“*(„top information agency" ("TIA") 19 აგვისტო 2020 წელი)

გოგა ხაინდრავა, რეჟისორი: *„გამოაცალე ოპოზიციას ეს ფინანსური შესაძლებლობები, რომელიც გარედან მოდის, და ერთი კვირა ვერ გაძლებს ეს გაერთიანება“*(„იმედი“ 20 ნოემბერი 2022)

ქეთი დოლიძე, რეჟისორი: *„ამერიკამ გუანტამოს მიხედოს! ვიეტნამიმე დავადუღე?! მაკკეინი - ნომერ პირველი მკვლელი, ნაპალმით რომ წვავდა ვიეტნამს! სადამ ხუსეინი მე ვათრიე ქუჩა-ქუჩა? ჰილარი კლინტონი რომ უყურებდა ტელეფონში მის სიკვდილს, მერე გაიცინა და კმაყოფილმა გააწკლაპუნა ტუჩები: We came, we saw, he died!“* („ტაბულა“ 12 ნოემბერი 2021 წელი)

ეს ციტატების მცირე რაოდენობაა მაგრამ აქაც ჩანს ის ყველა ქართულ სფეროში და დარგში შეაღწია რუსულმა პროპაგანდამ, ამით ის ცდილობს რომ მოახდინოს ქართული საზოგადოების ზომბირება როგორც მოახდინა თავად რუსეთში, რადგან იქ დეზინფორმაციის დონე ძალიან მაღალია.

ყველა ეწევა რუსულ პროპაგანდას, ყველა სფეროს წარმომადგენელი, მედიის ყველანირი ვარიაციაა ჩართული ამაში, არსებობენ პარტიები ან პარტიების სატელიტები, რომლებიც ხელს უწყობენ რუსული პროპაგანდის გავრცელებაში, ასევე მმართველი პარტიაც რომლის ინტერესებიც რომელიც გამომდინარეობს იქიდან რომ მათ სურთ ძალაუფლების შენარჩუნება იკვეთება რუსეთთან, დღეს ერთ-ერთი მთავარი საზომი არის

უკრაინის ომი, თუ რომელ მხარეს ვდგავართ ჩვენ, აქ არ შეიძლება ნეიტრალიტეტის დაჭერა, არამედ მკაფიოდ უნდა გამოიხატოს პოზიცია, და ის რომ დღეს საქართველოს უჭირავს ნეიტრალური პოზიცია, რუსეთის არ გაღიზიანების, ესეც რუსული პროპაგანდის და რუსული ნარატივის ნაწილია. ასევე სამწუხაროა რომ ეკლესია როგორც ინსტიტუცია მთლიანად ამ რუსულ პროპაგანდაშია ჩაფლული, აქ არ არის საუბარი კონკრეტულ რომელიმე სასულიერო პირზე არამედ მთლიან სისტემაზე. ასევე 21-ე საუკუნეში ინტერნეტიც დიდი როლს თამაშობს პროპაგანდის გავრცელებაში, და არც რუსული პროპაგანდაა გამონაკლისი, დღეს არსებობს უამრავი ჯგუფები თუ გვერდები სხვადასხვა სოციალუ ქსელში რომლებიც ავრცელებენ დეზინფორმაციას. ეს ყოველივე კარგად გამოჩნდა რუსეთ უკრაინის ომის დროს, როდესაც შედარებით აქტიურად დაიწყეს მოსახლეობის დეზინფორმაცია. (სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტთან, 7 ივნისი 2023).

დღეს ნამდვილად პროპაგანდაში და დეზინფორმაციაში ჩართულია მაქსიმაულრად ბევრი ადამიანური რესურსი, დაწყებული მედიიდან და დამთავრებული მსახიობებით და რეჟისორებით. მთავრობას ყავს და არა მარტო მათ ე.წ „ტროლები“ რომლის პირდაპირი მიზანია გაავრცელონ დეზინფორმაცია, ანდა სხვადასხვა სოციალურ ქსელებში კონკრეტული გვერდებისთვის ან ჯგუფებისთვის რეიტინგის გაუმჯობესება, რაშიც მონაწილეობას იღებენ ახალგაზრდები. მაგალითისათვის მათი დავალება შეიძლება იყოს კონკრეტული რომელიმე სიუჟეტის გავრცელება რომელიც დაამზადა ისეთმა არხმა როგორიცაა „პოსტ-ტვ“, ანდა პირიქით „რადიო თავისუფლების“ პოსტებზე გამოხატონ რეაქციები რომლებიც არ შეესაბამება მოცემული გვერდის პოსტებს. (სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტთან, 7 ივნისი 2023).

ეს ინტერვიუები კარგად გვაჩვენებს იმას რომ არამარტო მედია არამედ ჩვეულებრივი მოქალქაეც შეიძლება იყოს ჩართული პროპაგანდაში. ასეთი მძლავრი პროპაგანდა, რომელიც გამოიხატება იმით რომ ყველა დარგში შეაღწია მან, არის იმისათვის რომ ადამიანთა ყველა ჯგუფზე გავლენა იქონიოს რუსულმა პროპაგანდამ. ამიტომ არის სხვადასხვა გზავნილები და ნარატივებ, მხოლოდ ერთი ნარატვით მაგალითად იმით რომ საქართველომ უარი უნდა თქვას რომელიმე გაერთიანებაში შესვლაზე და ნეიტრალიტეტი

უნდა გამოაცხადოს, არაა საკმარისი იმისათვის რომ რუსეთმა მთლიანადა მოიპოვოს გავლენა ქართულ საზოგადოებაზე. ასევე საინტერესოა ის ფაქტიც რომ რუსეთის განსაკუთრებლ ქება დიდებას ვერ მოვისმენთ ქართველი პროპაგანდისტებისგან, გამონაკლისი მხოლოდ „ალტ-ინფოს“ რამოდენიმე ჟურნალისტის განცხადება შეიძლება გაგვახსენდეს, არამედ მათი აქცენტი მიდის იმაზე რომ შეიძლება რუსეთი არაა იდეალური სახელმწიფო მაგრამ, აი ამერიკა და ევროპაც არანაკლებია, იქაც არის კორუფცია, და კიდევ სხვა მინუსები აქვთ. მაგრამ რეალობა მაინც სხვანაირია, „იმ რეგიონშიც რატომ ყავს გლეხს ტრაქტორი დასავლური და არა რუსული? რატომ გაუშვებს შვილს დასავლეთში და არა რუსეთში?“ (სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტთან, 7 ივნისი 2023). ეს კითხვები აჩვენებს რეალურად რა სურს ქართულ საზოგადოებას, საქართველოს მოქალაქეს. საინტერესოა ის რომ არა მარტო საქართველოში არსებული აქტიური პროპაგანდისტები მოგზაურობენ დასავლეთში, აგზავნიან თავიაანთ შვილებს სასწავლებლად დასავლეთში და სხვა არამედ, თვით რუსი პროპაგანდისტებიც კი. მას შემდეგ რაც რუსეთი შეიჭრა უკრაინის ტერიტორიაზე, ბევრ პროპაგანდისტს დაუყადაღეს და ჩამოართვეს ქონება ევროპაში, ამის ნათელი მაგალითი არის ვლადიმირ სოლოვიოვი, რომელიც არა მხოლოდ რუსეთში ფლობს უამრავ აგარაკებსა და ბინებს არამედ აქვს ასევე ორი აგარაკი იტალიაში რომელიც ომის დაწყებისას დაუყადაღეს. პროპაგანდისტები აიძულებენ ხალხს რომ დაიჯერონ თუ რაოდენ ცუდია დასავლეთი, თავად კი ყველა დოვლათით სარგებლობენ რაც დასავლეთს და განვითარებულ სამყაროს გააჩნია.

თავი 4 - უკრაიანა და საქართველოს რუსული პროპაგანდის ქარცეცხლში

ცალსახაა რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში რუსეთი ცდილობს, და ატარებს თავის პროპაგანდას, მაგრამ ყოველთვის გამორჩეული იყო და არის ორი ქვეყანა საქართველო და უკრაიან. ის რაზეც მე ზევით ვისაუბრე ყველაფერი გამოიარა და ახლაც გადის უკრაიან, მაგრამ მათ შემთხვევაში ამ ყველაფრის საფასური უფრო მაღალია. პასუხი კითხვაზე უნდოდა თუ არა რუსეთს ეს ომი უკრაინისთან რთული საპოვნელია.

რუსეთს ეს ომი არ უნდოდა, მას ეგონა რომ რამდენიმე დღეში დაასრულებდა ე.წ „ბლიც კრიგს“ და შეცვლიდა მთავრობას, რომელიც უკვე იქნებოდა ცალსახად პრორუსული, მაგრამ მას არ ეგონა რომ ეს ომი ამდენხანს გაგრძელდებოდა და სამარცხვინოდ უკან დახევა მოუწევდა. (სიღრმისეული ინტერვიუ ექსპერტთან, 7 ივნისი 2023)

მართლაც ახლა რომ გადავხედოთ თუ რა განცხადებებს აკეთებდნენ რუსი პროპაგანდისტები ომამდე რამდენიმე დღით ადრე, ან ომის დაწყებისას და უკვე შემდგომ პერიოდში ნათლდა დავინახავთ თუ როგორი იმედები ქონდათ დასაწყისში და როგორ შეიცვალა და ჩაიფუშა ეს იმედები და მიზნები. არსებობს მოსაზრება რომ რუსეთთმა იმიტომ დაიწყო ომი რომ იქ იმ პროპაგანდამ ვერ იმუშავა და მას მოუწია ომის წამოწყება, მე კი ვფიქრობ რომ სხვაგვარად იყო მდგომარეობა. ვიდრე ომი დაიწყებოდა უკრაინაში გავრცელებული იყო პრორუსული იდეები, მაგალითისათვის იყო ასეთი გზავნილი რომ უკრაინა შედგება ორი ნაწილისგან, პრორუსული და პროდასავლური რაც შესაბამისად ასეთი დიდი ქვეყნის გახლეჩვას ისახავდა მიზნად, ასევე პროპაგანდაის საშუალებით რუსეთს სურდა რომ ისეთივე მთავრობა ყოფილიყო უკრაინაში როგორიც ბელარუსშია, რათა მარტივი ყოფილიყო მათი კონტროლი. პროპაგანდის და დეზინფორმაციის საშუალებტ რუსეთს უნდოდა მოემზადებინა მოსახლეობა ამისათვის და შეჭრიდან

რამდენიმე დღეში შეეცვალა მთავრობა მაგრამ ეს არ გამოუვიდა, რუსეთი არ ელოდა იმას რომ როგორც უკრაინის მთავრობა ისე მოსახლეობა, ასე მტკიცედ დაუხვდებოდა და ამას დამატებული არ ელოდა რომ დასავლეთი და მთლიანი ცივილიზებული საზოგადოება ასე დაეხმარებოდა უკრაიანს, რუსეთი არ ელოდა ასეთი დიდი მაშტაბის ომს. ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პროპაგანდისტი და ამავდროულად უკრაინის უმაღლესი რადის დეპუტატი ვიქტორ მედვედჩუკი უდიდეს როლს თამაშობდა ამ პროპაგანდაში, და კანონზომიერია მისი დაკავება როდესაც ომი დაიწყო და უკრაინის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება აეკრძალათ და ყველა პრორუსული იდეის მატარებელი ორგანიზაციები, ჯგუფები, პარტიები და პირები. ვფიქრობ უკრაინის მთავრობის ასეთი გადაწყვეტილება არის სწორი რადგან აქ უკვე არ არის სიტყვის თავისუფლებაზე საუბარი არამედ დეზინფორმაციაზე და მოსახლეობის ზომბირებაზე, ამიტომ ვფიქრობ რომ ის ნაბიჯები რომლებსაც დღეს დგავს საქართველოს მთავრობა არ არის სწორი, და არა მარტო დღეს არამედ ბოლო რამდენიმე წელიწადში. სამოქალაქო საზოგადოებისთვის ყველაზე რთული მომენტი იყო მაშინ როდესაც სერგეი გავრილოვი ჩამოვიდა და მოკალათდა პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში, ეს ჟესტი იმის მომასწავლებელია რომ საქართველო რუსული სამყაროს ნაწილია, მაგრამ ქართულმა საზოგადოებამ მკაფიოდ გამოხატა თავისი აზრი და არ მისცა არც მთა'ვრობას და არც რუსეთს იმის უფლება რომ საქართველო ბოლომდე შესულიყო რუსულ სამყაროში. წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობისგან და კონკრეტული პირებისგან ჩანდა ორმაგი თამაში ნიშნები, ეთანხმებოდნენ დასავლეთშ მაგრამ ამავდროულად მაქსიმალურად მუშაობდნენ „რუსეთის არ გაღიზიანების" პოლიტიკაზე. ეს ყოველივე კარგად გვიჩვენა რუსეთ უკრაინის ომმაც, რომლის დაახლოებით ერთი წლის თავზე საქაღთველომ აღადგინა პირდაპირი ფრენები რუსეთთან, დამეთანხმებით ის ფონი რაც დღეს მსოფლიოში არის, ამის ფონზე ეს ყოველივე კიდევ უფრო ცუდად გამოჩნდა, რასაც ასევე მოყვა საზოგადოებაში ვნებათაღელვა. აქედან გამომდინარე ვფიქრობ რომ უკრაინაც და საქართველოც გადიან ერთ გზას, ორივე არის მოქცეული ძლიერი რუსული პროპაგანდის ქვეშ, სადაც ყოველდღეს ვრცელდები უამრავი დონის დეზინფრომაცია. რუსეთი ომის დაწყებიდან იბრძვის არამხოლოდ უკრაინაში

არამედ საქართველოში, აქ მინდა გავიხსენო გზავნილები „აბა ომი გინდათ“, „მეორე ფრონტის გახსნის საშიშროება დგას“, ეს ყოველივე არის რუსული ნარატივი იმისათვის რომ ქართული საზოგადოება იყოს შეშინებული და დათრგუნული, და არ გაუწიოს დახმარება მეგობარ უკრაინას, მაგრამ ეს პროპაგანდა ვერ აღმოჩნდა იმდენად ძლიერი როგორსაც რუსეთი ელოდებოდა რადგან საქართველოს მოსახლეობა მაინც განაგრძობს უკრაინის მხარდაჭერას და დახმარებას, რასაც ბოლომდე ვერ ვიტყვით საქართველოს მთავრობაზე, რადგან ზუსტად მთავრობის წევრები გვევლინებიან ამ გზავნილების გამავრცელებლად.

ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს პრემიერ მინისტრი: *„ჩვენ სამჯერ ვიომეთ, საკმარისია, მიუხედავად ძალიან ბევრი მცდელობისა რომ საქართველოში გადმოეტანათ მეორე ფრონტი ჩვენი გონივრული პოლიტიკის შედეგად ეს თავიდან იქნა აცილებული.“* („იმედი“, 5 დეკემბერი 2022)

ასეთი განცხადებებით გამოირჩევიან მთავრობის წევრები მას შემდეგ რაც რუსეთმა სრულმაშტაბიანი ომი წამოიწყო უკრაინის წინააღმდეგ, რაც ნამდვილად ტოვებს იმის შეგრძნებას რომ რუსული სამყაროს ნაწილია საქართველო დღეს.

დასკვნა

პროპაგანდისტული ომი დაიწყო ადამიანთან ერთად და ალბათ დასრულდება მასთან ერთად, საუკუნეების განმავლობაში პროპაგანდა განიცდიდა მეტამორფოზას, იგი გვევლინებოდა სხვადასხა სახით მაგრამ დღეს პროპაგანდა გადაიქცა მთავარ იარაღად რუსეთისთვის საქართველოში, და არა მარტო აქ არამედ სხვა ქვეყნებში იქნება ეს ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყანა თუ სხვა. რუსული პროპაგანდა დიდ ზიანს აყენებს ქართულ საზოგადოებას პირველ რიგში, რადგან ხდება მისი პოლარიზება, დღეს უკვე ღველა სფეროში შეაღწია პროპაგანდამ და საქართველოს მოსახლეობას უწევს მასთან ბრძოლა ყოველდღიურად ისე რომ შესაძლოა მასა ვერც კი აცნობიერებდნენ. ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენეს რომ რუსეთი ატარებს აგრესიულ პროპაგანდას საქართველოში ბოლო რამდენიმე საუკუნეა, მისი მიზანია საზოგადოების პოლარიზება ცრუ გზავნილებით. ამის აგალითებია არა მხოლოდ ის მედია საშუალებები რომლებიც ამ გზავნილებს ავრცელებენ არამედ ადამიანები რომლებიც ხშირად ვერ ხვდებიან რომ პროპაგანდას გვერდში უდგანან ისინი ამას უნებლიედ აკეთებენ, მაგალითად ჩვეულებრივი მოქალაქე რომელსაც ნამდვილად სურს რომ საქართევლოს იყოს ძლიერი მაგრამ დამოუკიდბელი, ყველანაირი კავშირების გარეშე მაინც ეხმარება რუსული პროპაგანდის და ნარატივის გავრცელებას, რადგან დღესდღეობით საქართველოსთვის ნეიტრალიტეტი იქნება დამღუპველი.

მოცემული კვლევა მიზნად ისახავდა ეჩვენებინა თუ რა სახის პროპაგანდას იყენებს რუსეთი, მისი სუსტი და ძლიეირ მხარეების ჩვენება, რამდენად ეფექტურია ეს პროპაგანდა ქართველების მიმართ და რა განწყობაა ქართულ საზოგადოებაში. ჩემი აზრით ერთი ყველაზე გამჭვირვალე ორგანიზაციის კერძოდ (NDI)-ის მიერ ჩატარებული კვლევა სცემს ყველანაირ კითხვას პასუხს, მოცემულ კვლევაში გამოკითხულთა 85% თანხმდება იმაზე რომ საქართველოს გაწევრიანება ევროკავშირში მნიშვნელოვანია, ეს კი ნიშნავს იმას რომ საქართველოში რუსული პროპაგანდა მიუხედავად უამრავი პროპაგანდისტისა და მცდელობებისა რომ ქართულმა საზოგადოებამ უარი თქვას დასავლეთზე, დემოკრატიაზე

და განვითარებაზე, მაინც განიცდის მარცხს, რადგან სხვადასხვა პოლიტიკური საზოგადოება თანხმდება რომ ევროკავშირში შესვლა და დასავლეთთან ერთად თანადგომა მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საქართველოს განვითარებაში.

ამრიგად, რთულია ვუარყოთ ის რომ რუსული პროპაგანდა აქტიურად მუშაობს საქართველოში და ქართულ საზოგადოებაზე, მაგრამ უნდა ვაღიაროტ ის ფაქტი რომ ქართული საზოგადოება მაინც მყარად დგას და ისწრაფვის დასავლეთისკენ, განვითარებისკენ, მიუხედავად ყველა იმ ზეწოლისა რაც მოდის რუსეთიდან.

ბიბლიოგრაფია

ავალიანი დ. (2018). მისაღებია თუ არა საქართველოს ნეიტრალიტეტის გამოცხადება "ნეიტრალიტეტი" და "ბლოკგარეშე ქვეყანა - კრემლის უკვე დაცდილი სატყუარები“ https://tabula.ge/ge/news/610390-neitraliteti-blokgareshe-kveqana-kremlis-ukve

ახლაი თაობა. (2021). შალვა რამიშვილი პოზნერზე - “როცა სტუმარს ასე ექცევი, ენით აუწერელი შეურაცხყოფაა” https://akhalitaoba.ge/2021/04/shalva-ramishvili-poznerze-_-rotsa-stumars-ase-eqtsevi-enith-autsereli-sheuratskhqhophaa/

ბერძენიშვილი მ. (2023). ირაკლი კობახიძე - „შალვა რამიშვილზე არის ორკესტრირებული შეტევა, რომელიც დაიგეგმა კეზერაშვილის მიერ, კეზერაშვილმა თავის დანაშაულებსა და ტელევიზიას მიხედოს“ https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-shalva-ramishvilze-aris-orkestrirebuli-sheteva-romelic-daigegma-kezerashvilis-mier-kezerashvilma-tavis-danashaulebsa-da-televizias-mikhedos/

ბურდული ნ. (2022). „პატრიოტთა ალიანსის”, “მარშის” და სხვების წერილი პუტინს“ https://netgazeti.ge/life/592465/

გეგიძე თ. (2020). რუსული აქტორები ქართულ მედიაში, პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში https://go.on.ge/1vhy

იმედი. (2022). გოგა ხაინდრავა: „გამოაცალე ოპოზიციას ეს ფინანსური შესაძლებლობები, რომელიც გარედან მოდის, და ერთი კვირა ვერ გაძლებს ეს გაერთიანება.“ https://imedinews.ge/ge/politika/271506/goga-khaindrava-gamoatsale-opozitsias-es-pinansuri-shesadzleblobebi-romelits-garedan-modis-da-erti-kvira-ver-gadzlebs-es-gaertianeba

იმედი FACEBOOK გვერდი. (2022). რადიკალები და მეორე ფრონტი - პრემიერის განცხადება https://www.facebook.com/watch/?v=1515948632239828&ref=sharing

იმედი. (2023). „ტელეგრაფი“: ევროკავშირის იმპერია იშლება“ https://imedinews.ge/ge/msoflio/293611/telegrapi-evrokavshiris-imperia-ishleba

იმედი. (2022). 35 მილიონ ევროპელს გათბობასა და საკვებს შორის არჩევანის გაკეთება უწევს. რატომ? https://imedinews.ge/ge/theme/887/35-milion-evropels-gatbobasa-da-sakvebs-shoris-archevanis-gaketeba-utsevs-ratom

კინწურაშვილი თ. (2015). ანტიდასავლური პროპაგანდა მედია მონიტორინგის ანგარიში, მედიის განვითარების ფონდი

კინწურაშვილი თ. (2022). მედიაწიგნიერების და დეზინფორმაციის აღქმების კვლევა https://mdfgeorgia.ge/uploads//MedialiteracyReport-GEO.pdf

მედია ჩეკერი. (2023). რა ვიცით "პოსტივის" რეიტინგებზე და ბრალდებებზე სექსუალური შევიწროების შესახებ, არხის დამფუძნებლის მიმართ https://www.mediachecker.ge/ka/mediagaremo/article/94192-ra-vicith-qpostivisq-reitingebze-da-braldebebze-seqsualuri-shevitsroebis-shesakheb-arkhis-damfudzneblis-mimarth

მენაღარიშვილი, ი. (2019) მისაღებია თუ არა საქართველოს ნეიტრალიტეტის გამოცხადება https://netgazeti.ge/news/361635/

მსხალაძე, ა. (2020) რუსეთი, როგორც საქართველოს "მხსნელი" და სხვა მანიპულაციები პრორუსულ ქართულ მედიაში https://go.on.ge/1xwx

ონ.ჯი. (2022). ალტ-ინფოს პრორუსული დისკურსი და ანტიდასავლური გზავნილები — DRI-ის ანგარიში https://go.on.ge/2ujv

პალიტრა. (2022). “ჯობია მოუსმინოთ და მერე მაგინოთ“ - ალტ-ინფოს წამყვანისა და პაატა ზაქარეიშვილის კამათი, რომელსაც ყველა განიხილავს” https://www.palitravideo.ge/video/141403-jobia-mousminot-da-mere-maginot-alt-inpos-camqvanisa-da-paata-zakareishvilis-kamati-romelsac-qvela-ganixilavs/

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (29.06.2020). https://matsne.gov.ge/ka/document/view/3811818?publication=2&fbclid=IwAR2mXwVF4MVRzVoEJI9VZ1QIPHiBg-v6Ocn6QlpkVyBAonY1vSlcz_49MyY

ტაბულა. (2023). მეუფე სპირიდონი: „მოდაშია, პრადვინუტობად ითვლება ჩრდილოელი მეზობლის გინება – არ არის სწორი.“ https://tabula.ge/ge/news/702083-meupe-spiridoni-modashia-pradvinutobad-itvleba

ტაბულა. (2019). მეუფე სპირიდონი: „ნატო და ევროკავშირი არის ქვეყნები, რომლებიც გათახსირებას აკანონებენ“ https://tabula.ge/ge/news/627744-meupe-spiridoni-nato-evrokavshiri-aris-kveqnebi

ტაბულა. (2021). ქეთი დოლიძე: ამერიკამ გუანტამოს მიხედოს! ვიეტნამი მე დავადუღე? სადამ ხუსეინი მე ვათრიე?“ https://tabula.ge/ge/news/676102-keti-dolidze-amerikam-guantamos-mikhedos-vietnami

ჩიჩუა, ნ. (2022) მედვედჩუკი — ვინ არის და რატომ დააკავეს პუტინის ნათლიმამა https://netgazeti.ge/life/605105/

ჭანტურიძე, მ. (2018). რუსული პროპაგანდის გამოვლინებათა სპეციფიკა https://openscience.ge/bitstream/1/1527/1/MA%20Thesis.%20Tchanturidze%20%20maskomi.pdf

ჭიაბერაშვილი, ზ. (2021). დამოუკიდებელი საქართველო ვარდების რევოლუციამდე

CIVIL.GE (2022). ახალი კვლევით, მოქალაქეთა უმრავლესობა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეა https://civil.ge/ka/archives/469136

TIA (2020). „მირჩევნია პრორუსული ვიყო, ვიდრე პროპიდარასტული“ – მიშა გომიაშვილი https://tia.ge/159465-mirchevnia-prorusuli-viyo-vidre-propidarastuli-misha-gomiashvili.html

Casey D. R. (1944). WHAT IS PROPAGANDA? https://www.historians.org/about-aha-and-membership/aha-history-and-archives/gi-roundtable-series/pamphlets/em-2-what-is-propaganda-(1944)

Coughlin C. (2023). The EU empire is crumbling https://www.telegraph.co.uk/news/2023/05/29/the-eu-empire-is-crumbling/

Denton A. (2006). Russian Political Culture Since 1985 https://geohistory.today/russian-political-culture/

Eremenko A. (2015). „Back in the U.S.S.R.? How Today's Russia Is Like the Soviet Era“ https://www.nbcnews.com/news/world/back-u-s-s-r-how-todays-russia-soviet-era-n453536

Gerber P. T. & Zavisca J. (2016). Does Russian Propaganda Work? https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/0163660X.2016.1204398

Hobson J. (1902). Imperialism: A Study https://oll.libertyfund.org/title/hobson-imperialism-a-study

Kovitiak E. (2018). A BRIDGE TO THE PAST: PUBLIC MEMORY AND NOSTALGIA FOR THE COMMUNIST TIMES IN MODERN GEORGIA https://www.researchgate.net/publication/326805086_A_Bridge_to_the_Past_Public_Memory_and_Nostalgia_for_the_Communist_Times_in_Modern_Georgia

Lenin V. (1916). imperialism is the highest stage of capitalism https://www.marxists.org/archive/lenin/works/1916/imp-hsc/imperialism.pdf

Rezvani B. (2020). Russian foreign policy and geopolitics in the Post-Soviet space and the Middle East: Tajikistan, Georgia, Ukraine and Syria https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/00263206.2020.1775590

Гордон Д. (2021). Близкий друг Путина миллиардер Пугачев. Вся правда о Путине, его семье и деньгах https://www.youtube.com/watch?v=UttgyZCppyA&t=1s

Навальный А. (2017). Квартиры, дача и итальянская вилла Владимира Соловьева https://www.youtube.com/watch?v=9MHqpyN6iAk&t=520s

დანართი #1

ინტერვიუს გზამკვლევი

1. გთხოვთ შეაფასოთ რუსეთის ნაბიჯები საქართველოსადმი 2003 წლიდან, კერძოდ „ვარდების რევოლუციიდან“
2. როგორ ფიქრობთ რუსული პროპაგანდა რამდენად დიდ გავლენას ფლობს ქართულს საზოგადოებაზე?
3. თქვენი აზრით, საქართველოში ვინ მუშაობს რუსული პროპაგანდის გავრცელებაში? (პარტიები, მედია, კერძო პირები, პოლიტიკური აქტორები თუ სხვა?
4. შეგიძლიათ დაასახელოთ რუსული პროპაგანდის ძლიერი და სუსტი მხარეები?
5. როგორ ფიქრობთ შეგვიძლია თუ არა მივიჩნიოთ რუსეთის შეჭრა უკრაინაში ისე რომ რუსულმა პროპაგანდამ ვერ იმუშავა უკრაინაში და საჭირო გახდა ომის წამოწყება?
6. როგორ ფიქრობთ სად მიიყვანს რუსეთს მისი ეს იმპერიალისტური ზრახვები?
7. თქვენი აზრით როგორ განწყობაა ქართულ საზოგადოებაში, და აღიქვამს თუ არა იგი რუსეთის მხრიდან პროპაგანდას და ზეწოლას?
8. როგორ ფიქრობთ აქვს თუ არა რუსულ პროპაგანდას გავლენა მოქმედი მთავრობის გადაწყვეტილებებზე და ნაბიჯებზე? თუ კი სად ვლინდება ეს ყოველივე?
9. რუსეთის ასეთ სწრაფვა იქონიოს საქართველოზე გავლენა და მოახდინოს კოლექტიური დასავლეთის დისკრედიტირება, გვიტოვებს შთაბეჭდილებას რომ ცივი ომი არ დასრულებულა 1991 წელს არამედ გრძელდება დღესაც, და დაპირისპირებული მხარეები არიან რუსეთი და კოლექტიური დასავლეთი, თვქენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?
10. კიდევ რას დაამატებდით?